საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კურაპალატი

კურაპალატი (ბიზანტ. ბერძნ. kuropalates

კ-ის ტიტული IX ს-იდან ენიჭებოდათ იბერიის (თავდაპირველად ტაო-კლარჯეთის, შემდეგ გაერთიანებულ საქართველოს) მეფე-მთავრებს. პირველი კ. მათ შორის იყო აშოტ I (IX ს.), შემდეგ კურაპალატობა მუდმივად ეძლეოდათ ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენლებს, XI ს-იდან – საქართველოს მეფეებს (ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II). დავით აღმაშენებელმა უარყო ბიზანტ. ტიტულები და მას შემდეგ კ. ქართველ მეფეებს აღარ უტარებით.

ლიტ.: G u i l l a n d R., Etudes sur l’histoire administrative de l’ Émpire Byzantin. Le curapalate, «Byzantina», 1970, t.2.

ნ. ლომოური